

# 7R

## საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო “**7R**” 2020 წლის 7 აგვისტოს დაფუძნდა ზუგდიდში. მათი **სოციალური მისიაა**, გარემოს დაცვა საქართველოში მდგრადი მოდის დამკვიდრებითა და ჩვენ ირგვლივ ქსოვილების ნარჩენების შემცირების გზით. „7R-ის“ გუნდი თავისი ყოველდღიური საქმიანობით ცდილობს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას გარემოსდაცვით საკითხებზე, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვასა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას. გრძელვადიან პერსპექტივაში დამფუძნებლები მიზნად ისახავენ ზუგდიდში მულტიფუნქციური სივრცის შექმნას, სადაც განთავსდება სხვადასხვა სახელოსნო, ნულოვანი ნარჩენის მაღაზია, კაფე, საერთო სამუშაო სივრცე და ნარჩენების დახარისხების კუთხე.







## პროდუქცია

სოციალური საწარმოს სახელოსნოში ქსოვილის ნარჩენების აღდგენით და ხელახალი გამოყენებით იქმნება ახალი, ფუნქციური ტანსაცმელი, დეკორაციები და აქსესუარები. კერძოდ:

- **ჩანთა**
- **თმის სამაგრი**
- **საყურეები და სხვა**

## სოციალური შედეგები

- 500 კგ-მდე ქსოვილის შეგროვება და გამოყენება
- წყლის რესურსების დაზოგვა და ნაგავსაყრელზე ნარჩენის შემცირება




+995 555 507 383

7rgeorgia@gmail.com

https://www.facebook.com/7RGeorgia

ზუგდიდი, საქართველო


